

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ანგარიშგება	6
1 ზოგადი ინფორმაცია.....	7
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3 ძირითადი საშუალებები	11
4 ფული და ფულის ექვივალენტები	11
5 მარაგები.....	13
6 კაპიტალი.....	13
7 სესხები.....	13
8 ნეტო ამონაგები	14
9 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14
10 დაკავშირებული მხარეები	14
11 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	14
12 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	365,196	681,798
სავაჭრო მოთხოვნები		1,378,765	801,241
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		52,588	58,964
მარაგები	5		
- მზა პროდუქცია		312,580	543,472
- სხვა		7,312,911	9,073,774
სხვა მიმდინარე აქტივები		20,371	
ძირითადი საშუალებები	3	3,785,502	3,883,104
სულ აქტივები		13,227,912	15,042,327
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		407,664	238,250
გამოუმუშავებელი შემოსავალი		158,958	260,688
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		63	63
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7	1,123,154	1,143,783
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7		1,990,670
სხვა ვალდებულებები		212,035	138,240
სულ ვალდებულებები		1,901,874	3,771,697
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	6	4,216,448	4,298,280
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		7,109,590	6,972,350
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		11,326,038	11,270,630
სულ საკუთარი კაპიტალი		11,326,038	11,270,630
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,227,912	15,042,327

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 29 სექტემბერი


 ვასილ კიხარულიძე
 დირექტორი



შპს „გლავსპირტპრომი“


ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება/ზარალის ანგარიშგება	2023	2022
ნეტო ამონაგები	5,271,285	7,273,517
საქონლის გაყიდვიდან	8 5,271,285	7,273,517
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,865,574	3,163,805
საწყისი მარაგები	8,959,866	8,900,041
მარაგების შესყიდვა	1,531,198	3,881,010
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	7,625,491	9,617,246
საერთო მოგება	2,405,711	4,109,712
სხვა შემოსავალი	(3833)	(6,780)
დასაქმებულთა ანაზღაურება	877,320	548,322
ცვეთა და ამორტიზაცია	3 115,637	388,145
საპროცენტო შემოსავალი:	(84,821)	(96,762)
საპროცენტო ხარჯი :	7 333,203	387,075
იჯარის ხარჯი	5,441	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9 1,005,514	965,542
სულ საოპერაციო ხარჯები	2,248,451	1,876,382
საოპერაციო მოგება	157,250	2,233,330
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(20,010)	(68,413)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	137,240	2,164,545
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	137,240	2,164,545

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 29 სექტემბერი


ვასილ სიბაია

დირექტორი



შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვრის რეკლასიფიცირებული მდგომარეობით	5,222,564	4,807,805	10,030,369
წმინდა მოგება	-	2,164,545	2,164,545
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის შემცირება	924,284	-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,298,280	6,972,350	11,270,630
წმინდა მოგება	-	137,240	137,240
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის შემცირება	81,832	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,216,448	7,109,590	11,326,038

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 29 სექტემბერი


 ვასილ სიხარაშვილი
 დირექტორი



შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		137,240	2,164,545
545კორექტირებები:			
არაფულადი ფინანსური დანახარჯები		(43,332)	()
ცვეთა და ამორტიზაცია		115,637	78,986
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სხვა დანახარჯები		333,204	
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(577,524)	399,212
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		1,991,755	(717,205)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(169,414)	(361,625)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,787,566	1,563,913
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(18,035)	(124,888)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(18,035)	(124,888)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის ძირი გადახდა		(2,148,801)	(1,481,864)
სესხის მიღება		144,500	760,000
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(81,832)	(918,168)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,086,133)	(1,640,032)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	12	681,798	882,797
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(316,602)	200,999
31 დეკემბრის მდგომარეობით	13	365,196	681,798

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 29 სექტემბერი

ვასილ სიხარულიძე

დირექტორი



შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლავსპირტპრომი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2003 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 205013199, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, N51.

2017 წლის დეკემბერში რეორგანიზაციის შედეგად, კომპანიამ შეირჩა შპს გეო-ალკო (ს/კ 216399154).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ალკოჰოლური სითხეების წარმოება და მათი რეალიზაცია. კომპანიის დამფუძნებლები არიან: იაგო ხოლუაშვილი (25%), გია ხოლუაშვილი (25%) და გიორგი მღვდელაძე (50%).

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 35 და 30 თანამშრომელი.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში

განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	პროცენტები
შენობები	5%
მანქანა-დანადგარები	10%
ოფისის აღჭურვილობა	10%
ამორტიზებადი აქტივები რომლებიც სხვა ჯგუფში არ არის შეტანილი	20%

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სარეალიზაციო სითხის წარმოებასა და მიწოდებასთან.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებდა, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იხვერება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იხვერება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

ლორებული	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა დანადარები	ოფისის აქტუალობა	სხვა	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდ.	132 259	831 654	3 962 782	84 742	25 746	5 037 183
შეძენა		1 163	109 126	9 981	2 877	123 147
ჩამოწერა		-				-
2022 წლის 31 დეკემბრის მდ.	132 259	832 817	4 071 908	94 723	28 623	5 160 330
შეძენა	-	2 010.00	1 511	14 432	82	18 035
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდ.	132 259	834 827	4 073 419	109 155	28 705	5 178 365
ცვეთა და გაუფასურება						სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდ.	-	226 611	927 156	37 417	7 056	1 198 240
ცვეთა წლის მანძილზე	-	2 610	72 858	3 155	363	78 986
ჩამოწერა	-		-	-		-
2022 წლის 31 დეკემბრის მდ.	-	229 221	1 000 014	40 571	7 419	1 277 226
ცვეთა წლის მანძილზე	-	2 750	105 678	6 778	431	115 637
ჩამოწერა	-					-
2023 წლის 31 დეკემბრის მდ.	-	231 971	1 105 692	47 349	7 850	1 392 863
წმინდა საბალანსო ლორებული						სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდ.	132 259	605 043	3 035 626	47 325	18 690	3 838 942
2022 წლის 31 დეკემბრის მდ.	132 259	603 595	3 071 894	54 152	21 204	3 883 104
2023 წლის 31 დეკემბრის მდ.	132 259	602 855	2 967 727	61 805	20 855	3 785 502

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4 ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	37,332	385
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	149,324	27,028
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	178,540	654,385
სულ	365,196	681,798

5 მარაგები

დასახელება	2023	2022
ნედლეული და მასალები	7,261,652	9,051,625
სარემონტო მასალები	12,178	8,208
დაუმთავრებელი წარმოება	39,080	13,941
მზა პროდუქცია	312,580	543,472
საექსპორტო სპირტი	-	-
სხვა	-	-
სულ	7,625,491	9,617,246

6 კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,216,448 ლარს. კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში კაპიტალი შეამცირა 81,832 ლარით. ასევე დადგენილია რომ კომპანიის სააქციო კაპიტალმა 2024 წლის ბოლოსთვის უნდა შეადგინოს 2,000,000 ლარმა.

7 სესხები

კომპანიას მიმდინარე გრძელვადიანი სესხიდან დარჩენილია მხოლოდ მიმდინარე ნაწილი რაც დაიფარება შემდეგი თანმიმდევრულობით:

სესხი აღებულია 2019 წლის 1 ოქტომბერს, 300,000 \$ (სამასი ათასი ამერიკული დოლარი), საპროცენტო განაკვეთი 5%, რომლის გადახდა გრაფიკის მიხედვით მოხდება ყოველთვიური ძირის და პროცენტის დაფარვით 2024 წლის 1 აგვისტომდე.

სესხი აღებულია 2020 წლის 7 სექტემბერს, 1,000,000 GEL (ერთი მილიონი ლარი), საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%, რომლის გადახდა გრაფიკის მიხედვით მოხდება ყოველთვიური ძირის და პროცენტის დაფარვით 2025 წლის 1 იანვრამდე.

2023 წლის განმავლობაში კომპანიას ქონდა 333,203 ლარის საპროცენტო ხარჯი.

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8 ნეტო ამონაგები

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს საკონიაკე სპირტის. სხვადასხვა დაძველების კონიაკისა და ღვინის რეალიზაციას რეალიზაციას.

9 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2023	2022
დასახელება		
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	301,992	351,845.1
მიწოდების სხვა ხარჯები	424,906	411,222
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	65,973	36,778
საგადასახადო ხარჯები	38,627	44,860.06
მივლინების ხარჯები	105,699	104,438.97
საბანკო ხარჯები	6,701	10,622.8
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	61,616	5,775
სულ	1,005,514	965,542

10 დაკავშირებული მხარეები

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არ აქვს ტრანზაქციები და ნაშთები.

11 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

კომპანიის სარეალიზაციო ბაზრები ძირითადად რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსიის ბაზრებს შეადგენს. შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უკრაინაში გაყიდვებზე, უმნიშვნელოდ შემცირდა რუსეთში რეალიზაციები, ხოლო ბელარუსიის ბაზარზე ექსპორტი გაიზარდა. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის ბაზარზე რეალიზაცია მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციების გამო გართულებულია კლიენტებთან საბანკო ტრანზაქციების განხორციელება.

2024 წელს კომპანიამ განახორციელა რთველი, მიიღო მონაწილეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტში და შეისყიდა 4,000,000 ლარის ღირებულების ყურძენი.

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დროისათვის კომპანიისთვის უცნობია მიმდინარე ან მოსალოდნელი მარეგულირებელის შეზღუდვის არსებობის შესახებ, რომელიც ხელს შეუშლიდა კომპანიას ფუნქციონირებაში, ამიტომ ის ფუნქციონირებასს აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში.

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2024 წლის 29 სექტემბერს.